მოძრაობა kar.ge ბრენდ პლატფორმა

გამოწვევა
საქართველო წლიდან წლამდე ღარიბდება! 2014 წელს რეკორდული სიდიდის სავაჭრო დეფიციტი დაფიქსირდა საქართველოში – 5.7 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი. არც 2015 წელი დაიწყო ჩვენთვის სახარბიელოდ. პირდაპირი ინვესტიციები, საერთაშორისო ჩამორიცხვები და მომსახურებებისგან შემოსავლები ვერ აბალანსებენ ქვეყნიდან დოვლათის მზარდ გადინებას.

ვერცერთი ქვეყანა ვერ განვითარდება ეკონომიკური სიძლიერის გარეშე! ამ საკითხში მარტო მთავრობის იმედზე ყოფნა არ შეიძლება; ამას უცხოელი ინვესტორები მით უმეტეს არ გაგიკეთებენ; ამას მხოლოდ იმედით და ყანწპატრიოტული სადღეგრძელოებით ვერავინ მოახერხებს!

ასე თუ გაგრძელდა 50 წლის შემდეგ ვიქნებით კი საერთოდ?

გამოსავალი
ჩვენ გვჯერა, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, ჩვენი განვითარების ერთადერთი ბერკეტი თითოეულ ჩვენგანშია. ეს არის ქართული წარმოების პროდუქციის შესყიდვა თითოეული ადამიანის მიერ ყოველდღიურად, ღიად, მაგალითის მიცემის გზით და ცოტათი აგრესიულადაც. სწორედ ამიტომ ჩვენ წამოვიწყეთ kar.ge მოძრაობა.

kar.ge მოძრაობა

მისია
ჩვენ გვინდა საქართველოს მოქალაქეებში საამაყო გავხადოთ საქართველოში წარმოებული ხარისხიანი პროდუქციის ყიდვა. ეს გაზრდის ქართული წარმოების პროდუქციის ცნობადობას & გაყიდვებს, რაც გააძლიერებს საქართველოს, ქართულ ბიზნესს და საქართველოს თითოეულ მოქალაქეს.

ხედვა/მიზანი
მოძრაობა kar.ge გახდეს ხარისხიანი ქართული & kar.ge პროდუქციის მაიდენტიფიცირებელი ცნობადი ბრენდი ჯერ საქართველოში, შემდეგ კი მის ფარგლებს გარეთ.

ამოცანები
1) მოვახდინოთ ხარისხიანი ქართული პროდუქტების ცნობადობის ზრდა, 2) მივეხმაროთ ხარისხიან ქართულ პროდუქტებს გაყიდვების ზრდაში, 3) შევცვალოთ საქართველოს მოქალაქეების გონებაში არსებული უარყოფითი შეხედულება ქართული წარმოების პროდუქტების შესახებ და მისგან გამომდინარე მყიდველობითი ქცევა.

kar.ge ისტორია
მოძრაობის იდეა ჩამოყალიბდა 2013 წლის შემოდგომაზე. მას შემდეგ რაც Nx-ზე ტარიელ ზივზივაძის გამოსვლას - "დაილოცა ქართული" მოულოდნელად დადებითი გამოხმაურება მოჰყვა, გაგრძელდა დაინტერესებულ მხარეებთან მუშაობა და იდეის დახვეწა. 2014 წლის 1-30 დეკემბერს ტარიელ ზივზივაძემ განახოციელა 30 დღიანი გამოწვევა - "ქართული ყველაფერი კარგია", რომლის ფარგლებში 30 დღის განმავლობაში ყოველ დღე ყიდულობდა და თავის პირად საიტზე აშუქებდა ერთ კონკრეტულ ქართული წარმოების პროდუქტს. გამოწვევის შედეგები შეჯამდა Nx გამოსვლაზე 2015 წლის 23 იანვარს, რითაც 2015 წლის თებერვალ-მარტში დაიქოქა 30 დღიანი მეგა გამოწვევა უკვე 10 ადამიანის მონაწილეობით - "ქართული &kar.ge". ამ დროს შეიქმნა kar.ge ონლაინ პლატფორმაც.

მას შემდეგ kar.ge მოძრაობა ვითარდება, იძენს პარტნიორ ორგანიზაციებს და მხარდამჭერ ინდივიდებს. დღეს kar.ge მოძრაობა დღეში 7,000-მდე ადამიანს აწვდის ინფორმაციას კარგი ქართული საქმის შესახებ.

მიზნობრივი აუდიტორია
kar.ge მოძრაობა პირველ რიგში არის კომუნიკაციის პლატფორმა ქართულ კომპანიებსა და მომხმარებლებს შორის. kar.ge გათვლილია საქართველოს ყოველ მოქალაქეზე მიუხედავად ასაკისა, სქესისა, საცხოვრებელი ადგილისა, რელიგიისა, პოზიციისა, წოდებისა, ორიენტაციისა და ა.შ. kar.ge საქმის თანამოაზრე არის მყარი შემოსავლის მქონე ადამიანი, რომელმაც ფულის ყადრი იცის. იგი ეროვნული შეგნებით გამოირჩევა და აფასებს ყველაფერს ქართულს, თუმცა არ არის ბრმა ფანატიკოსი. kar.ge მოძრაობის სწრაფი და მდგრადი ზრდის გასაღები მიზნობრივ აუდიტორიასთან მჭიდრო თანამშრომლობაში და მათ ჩართვაშია.

kar.ge პერსონა
kar.ge პოზიტიური, ლაღი, იუმორით გაჟღენთილი და მიზანსწრაფული ტიპია, ემოციური და ქარიზმატული ბუნებით, თავისუფალი და ამაყი სულით; მისი ფასეულობებია ქართული საქმისთვის თავდადება, ვაჟკაცობა და ყველაფერი ახლის & კარგის პრაქტიკაში დანერგვა; არ არის აზიატი, არც ევროპელი, არამედ არის მსოფლიო მოქალაქე, რომელიც თავისი განსხვავებულობით უნიკალურად წარმოაჩენს პლანეტა დედამიწას. ეყრდნობა/პატივს სცემს წარსულს, მაგრამ მიისწრაფის უკეთესი მომავლისკენ.

kar.ge პოზიცირება
ქართველი მწარმოებლებისათვის kar.ge არის მხარდამჭერი, რომელსაც რეალურად შეუძლია მათი ბიზნესის ხარისხიანი პროდუქციის პოპულარიზებაში და გაყიდვების ზრდაში დახმარება. ქართველი მომხმარებლისათვის kar.ge არის საიმედო მეგზური და მრჩეველი.

kar.ge დაპირება
მოძრაობა kar.ge თავისი შესაძლებლობის და მისიის ფარგლებში ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ ყველა ქართულ & კარგ საქმეს შეეხიდოს.

kar.ge გამოცდილება
მოძრაობა kar.ge თავის ვებსაიტზე მუდმივ რეჟიმში აშუქებს კონკრეტულ წარმატების ისტორიებს და მიღწეულ შედეგებს.

kar.ge კომუნიკაცია
ყველაფერი, რაც 1) მიზნობრივ აუდიტორიას თავს ამაყად და გამარჯვებულად აგრძნობინებს, 2) ახდენს ქართული ბიზნესის და მისი ხარისხიანი ნაწარმის პოპულარიზებას, 3) ხელს უწყობს/ზრდის ქართული წარმოების ხარისხიანი პროდუქციის გაყიდვებს.

kar.ge კომუნიკაციის სტრატეგიის 6 საყრდენი ბოძი:

1. ნდობის მოპოვებისათვის - დამარწმუნებელი, თანმიმდევრული, ინტეგრირებული, ავტორიტეტული კომუნიკაცია;
2. აუთენტურობის ჩვენება - დაპირების თანახმად, ნამდვილი & გულწრფელი, რეალური/ადამიანური, ლაღი/არაფორმალური კომუნიკაციით;
3. გამჭვირვალობა - არავითარი საიდუმლო, ადვილად მოძებნადი, ადვილად გასაგები, ღია კომუნიკაციით;
4. დადასტურება - გამეორებით, სიძლიერის ჩვენებით, მოძებნადობით, ურთიერთობით;
5. მოსმენა - თანაგრძნობა, მისალმება, თავმდაბლობა, უკუკავშირი;
6. რეაგირება - დაკავშირება, საჭირო ცვლილების განხორციელება, აღიარება, მადლობა;